საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი

2018

25.12.2019

www.geostat.ge

25.12.2019

რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი, 2018 წელი

2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელმა 44 599.3 მლნ. ლარი შეადგინა. რეგიონულ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა: ქ. თბილისი (51.7 პროცენტი), იმერეთი (9.3 პროცენტი), აჭარის ა.რ. (9.0 პროცენტი), ქვემო ქართლი (7.8 პროცენტი) და სამეგრელო-ზემო სვანეთი (5.3 პროცენტი).

მთლიანი შიდა პროდუქტის რეგიონული სტრუქტურა 2018 წელი



შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

გადასახადები და სუბსიდიები რეგიონების მიხედვით განაწილებულია დამატებული ღირებულების სტრუქტურის შესაბამისად.

ქ. თბილისში შექმნილი მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (20.7 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (12.0 პროცენტი) და მშენებლობა (10.9 პროცენტი). იმერეთის რეგიონისათვის წამყვან ეკონომიკურ სექტორებს წარმოადგენს დამამუშავებელი მრეწველობა (13.4 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (11.5 პროცენტი) და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (11.2 პროცენტი). აჭარის ა.რ.-ში - ქვეყნის დამატებული ღირებულების მოცულობის მიხედვით მესამე რეგიონში - დიდი წილი უკავია მშენებლობას (16.6 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს (15.5 პროცენტი), ასევე საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტს (10.6 პროცენტი). ქვემო ქართლის მშპ-ში მნიშვნელოვანი წილით არის წარმოდგენილი დამამუშავებელი მრეწველობა (23.3 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (17.2 პროცენტი) და სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (10.6 პროცენტი).

მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი

რეგიონები	2017	2018
თბილისი	18 151.8	20 063.7
აჭარის ა.რ.	3 059.6	3 491.5
გურია	632.7	651.3
იმერეთი	3 212.9	3 587.2
კახეთი	1 902.2	2 017.6
მცხეთა-მთიანეთი	819.2	932.3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	174.6	214.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2 123.0	2 067.6
სამცხე-ჯავახეთი	1 114.3	1 200.2
ქვემო ქართლი	2 991.5	3 039.6
შიდა ქართლი	1 165.9	1 513.6
მშპ საბაზისო ფასებში	**35 347.6**	**38 778.5**
გადასახადები პროდუქციაზე	5 604.0	6 031.2
სუბსიდიები პროდუქციაზე	190.0	210.3
მშპ საბაზრო ფასებში	**40 761.7**	**44 599.3**

საკონტაქტო პირები:
ლევან ქარსაულიძე,
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: info@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი,
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: info@geostat.ge